Основные положения отражены

вследующих публикациях:

1. Первый сборник Колау Надирадзе „Балдахини" - журнал „Пирвели схиви", 1990 г. №22.

2. Галактион Табидзе и Колау Надирадзе - журнал „Пирвели схиви", 1993 г. №24.

3. „Что скажет Колау Надирадзе?" - Издательство „Гулани", 1994 г.

4. „Многое не сказал тебе, Отчизна" - журнал „Цискари" 1997 г. №11

5. Несколько ... я любовных стихов Кола... №1

899.962-1 1597
ჩ-982 ჩხიკვიშვილი ნ.
კ. ნადირაძის შემოქმედებითი

1597

ჩ-982

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო ჯიმშერის ასული ჩხიკვიშვილი

# კოლაუ ნადირაძის შემოქმედებითი გზა

10.01.01 - ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი - 1997

07
16. 01 1998

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
როსტომ ჩხეიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ექსპერტი:
დავით თევზაძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:
გაგა აბზიანიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გურამ ბენაშვილი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წამყვანი ორგანიზაცია:
სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის 11 თებერვალს $14^{00}$ საათზე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს (P10.01 C N3) სხდომაზე

მისამართი: თბილისი 380008; კოსტავას ქ. N5.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

რეფერატი დაიგზავნა 1998 წლის 9 იანვარს

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (ამირან არაბული)

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков

– 1597 –



## ნაშრომის საერთო დახასიათება

თემის აქტუალობა. სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებებს, დაჯგუფებებსა თუ ასოციაციებს შორის, რომლითაც ასე უხვად იყო აღბეჭდილი ჩვენი საუკუნის 10–20–იანი წლები, გამოირჩეოდა ქართული სიმბოლისტური სკოლა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ქართულ პოეზიაზე, ამიტომაც ცისფერყანწელთა შემოქმედების მირფესვიანი შესწავლა აუცილებელია და ლოგიკური.

კოლაუ ნადირაძე ქართულ პოეზიაში გამოკვეთილი სახელია. მისი შემოქმედება საინტერესოა და თავისთავადი. ცისფერყანწელთა ლიტერატურული სკოლის სახე თავის დროზე მისმა პოეზიამაც განსაზღვრა და წარმოაჩინა. პაოლო იაშვილსა, ტიციან ტაბიძესა, ვალერიან გაფრინდაშვილსა, შალვა კარმელსა, სერგო კლდიაშვილსა, სანდრო ცირეკიძესა და ორდენის სხვა წევრებთან ერთად მან შექმნა სამყაროს პოეტური „ათვისების" ახალი ფორმები.

მისი შემოქმედების კვლევისას წარმოჩინდება მკაცრ მარწუხებში მომწყვდეული მწერლობის საერთო ფონიც.

გამოკვლევის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის მიზანია მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი პოეტის კოლაუ ნადირაძის პოეზიის სიღრმისეული კვლევა. განხილულია მისი შემოქმედების ადრეული პერიოდი – 1920 წელს გამომცემლობა „კირჩხიბში" დასტამბული პოეტური კრებული „ბალდახინი," პოეტის შემდგომი გამოცემები. ნაშრომში გამოკვეთილია პოეტის შემოქმედებისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

განსაკუთრებით საინტერესოა პოეტის საარქივო მასალა, სადაც აღმოჩნდა პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, შალვა კარმელის, სერგო კლდიაშვილისა და სხვათა პირადი წერილები.

აღსანიშნავია პოეტის შენიშვნები – ნელი დუმბაძის „ქართულ სიმბოლიზმზე," გალაკტიონის „ას ლექსზე." აქვეა პოეტის ფუნაგორიებიც.

მეცნიერული სიახლე. ნაშრომში მკვეთრადაა წარმოჩენილი ამ კოლორიტული პოეტის მნიშვნელობა ჩვენი მწერლობისთვის. საკვალიფიკაციო თემა წარმოადგენს კოლაუ ნადირაძის შემოქმედების მონოგრაფიული კვლევის ცდას. მასში გაანალიზებულია პოეტის სიმბოლისტური ლექსები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დრამატიზმს კოლაუ ნადირაძის ლირიკაში. ნაშრომში გათვალისწინებულია უკანასკნელი ყანწელის ლირიკის რეალისტური ნაკადი.